ხელშეკრულება N29

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ჩოხატაური

ერთის მხრივ ააიპ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი წარმოდგენილი დირექტორის ნატო ჯიბუტის სახით და მეორე მხრივ "TEGNO SOHP" (შემდგომში „ მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების კანონის და სახ.შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N13-ის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინანსების წყარო: პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1."სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"(შემდგომში -„ხელშეკრულება")-შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ ,მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2."ხელშეკრულების ღირებულება"--საერთო თანხა,რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე"."კვირა"."თვე" - კალენდარული დღე,კვირა,თვე.

1.4."შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" -რომელიც ახორციელებს მომსახურება - მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი. ებისა და ხარისხის ინსპექტირება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის ობიექტი: მცირეფასიანი კომპიუტერის აქსესუარები, კომპიუტერული ტექნიკა 30200000 (ოთხი ცალი მაუსი, ერთი ცალი დენის წყარო), ელექტრომოწყობილობები (ერთი ელექტროღუმელი)-- კოდი 30237280.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 246(ორასორმოცდაექვსი) ლარი

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1 მიმწოდებელთან ანგარისშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება -ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურა ან/და ინვოისი ამ/და ზედნადები)საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

6.მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ჩოხატაური დუმბაძის ქ.N20
6.2. მომსახურეობის მიწოდება განხორციელდება 2023წლის 25 დეკემბრამდე.

7.მხარეთა უფლება -მოვალეობა

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება),რომლის მიზანია მომსახურება შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გატვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულების 8.1. პუნქტის გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

9.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი გადაცილებული კალენდარული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,2% ოდენობით.
9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
9.3. აღნიშნულ შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 % ოდენობით.
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით,მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2.ხელშეკრულების პირობების,მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 -ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობები განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4.მხარე ვალდებულია არა ნაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3. პუნქტით გატვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
10.5.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წარმოშობილი დავები და აზრთა სხვადასხვაობა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმებების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებმა მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 31დეკემბერი.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“ ნ.ჯიბუტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ს/კ 242008787 სახაზინო კოდი 743967570

chokhatauri municipality public health center

Digitally signed by chokhatauri municipality public health center
Date: 2023.12.21 10:28:03 +04'00'

„მიმწოდებელი“ ლ.კვინტრაძე

ლიბერთი ბანკი ჩოხატაური

a/n GE69LBO113192773200000

სადენტ.კოდი 441993728

Levani Kvintradze 46001001923

Digitally signed by Levani Kvintradze
Date: 2023.12.20 17:57:53